თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო

საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის

ადგილების განმსაზღვრელი დროებითი

სამუშაო ჯგუფის

ოქმი№2

ქ. თელავი 2018 წლის 1 მაისი

თავმჯდომარებდა დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

ესწრებოდნენ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები: გიგა ორკოდაშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს სახაზო საპატრულო სამსახურის უფროსი ირაკლი ლილუაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თელავი ჩემი ქალაქია''-ს გამგეობის წევრი ნინო მრელაშვილი, საკრებულოს დეპუტატი ლევანი ლილუაშვილი, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში პარკირების წესის შემუშავების შესახებ.
**მომხს. დ. ღაღანიძე**

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების წესის შემუშავების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ. ღაღანიძემ განაცხადა, რომ უნდა შემუშავდეს პარკირების ზოგადი წესი და საპარკინგე ადგილების გამოყოფის მიზნით დამუშავეს სქემატური გეგმა. ასევე აღნიშნა, რომ უნდა დაევალოს მერიის შესაბამის სამსახურს წარმოადგინოს ქალაქის რუკა სქემის სახით სადაც მონიშნული იქნება საპარკინგე ადგილები.

დ. ღაღანიძის მოსაზრებას დაეთანხმა დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილ იქნას პარკირების ზოგადი წესის პროექტი, და საპარკინგე ადგილების გამოყოფის მიზნით სქემატური გეგმა.

დროებითი სამუშაო
ჯგუფის თავმჯდომარე: დ.ღაღანიძე